№ 154. 25 ივლისი, შაბათი. 1866—1881 25 ივლისი, შაბათი. № 154.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გალავანის პროსპექტზე, ეკ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროების-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверiя“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. [illegible] მოკვრილით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## „ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდეზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

**ხარკოვში**—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
**თბილისში**—გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
**სევასტოპოლში**—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—2)

## ტელეგრამმები

—

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**გაშტეინი** 23 ივლისს. დღეს ავსტრიის და გერმანიის იმპერატორებმა ერთმანეთი ინახულეს. იმპერატორებმა ერთმანეთი გადაკოცნეს შეყრის დროს და სამი-მეოთხედი საათი ილაპარაკეს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 23 ივლისს.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 94—50 |
| მეორესი— — — — | 94—37 |
| მესამესი — — — — | 91—87 |
| მეოთხესი — — — | 91—75 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 92— „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 92— „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 91—75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7—76 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 222—25 |
| მეორე სესხის — — — | 224—25 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—65 | პენსი |
| ბერლინი — — | 224—25 | პფენიგი |
| ამბურღი — — | 219—50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 270—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

### ახალი ამბები.

ჩვენ გვაცნობეს, რომ, ამ კვირია, ბომსა და მიხაილოვს შუა პოეზდს მოუკლავს ერთი ბერძენი—კალატოზი, რომელსაც გზაზე გადასვლა ვერ მოუსწრია დროით.

* * *

ფოთის პოეზდი ჯერ კიდევ ვერ მოდის დროით თბილისში. სურამსა და თბილის შუა სპეციალური პოეზდია გამართული იმ პოეზდის მაგიერ, რომელიც საღამოს თბილისში უნდა ჩამოსულიყო ფოთიდამ და რომლის პასაჟირები გზის გაფუჭების გამო, ბევრს აგვიანებენ სურამში ჩამოსვლამდის.

საკვირველია, რატომ დღითი-დღე არ აცხადებს რკინის-გზის მმართველობა, რა მდგომარეობაშია რკინის გზის შეკეთება. ჩვენ ბევრმა შემოგვჩივლა: სტანციაში მივედით და იქ ბილეთები არ მოგვცეს, გზები გაფუჭებულიაო. რატომ ახარჯვინებს სტანციაში მიმავალს მისასვლელ-მოსასვლელ ფულებს? ნუთუ გაზეთებით არ შეიძლება შეატყობინონ საზოგადოებას? ამ გვარ განცხადებას ყველა გაზეთი მუქთადაც დაუბეჭდავს რკინის გზის მმართველობას, თუ ხარჯი ეზარება, ვინიცობაა.

* * *

სანამ რკინის-გზაზე ელაპარაკობდეთ.

ამ სიცხეებში, როცა ყოველ მოგზაურს სმა და გაგრილება უნდა, ჩვენი რკინის გზის სტანციებზე არ შეიძლება კაცმა დასალევი წყალი იშოვოს. ბოჩკები კი დგას, მაგრამ შიგ ისეთი ტალახი ასხია, რომ დალევა ყოვლად ყოვლითურთ შეუძლებელია. ერთ სტანციაზე მოსამსახურე ბიჭმა გვითხრა: შაბს არ გვაძლევენ, რომ წყალი დავწმინდოთო.

* * *

19 ამ თვისას, კვირას, სიონის სობოროში ორს ეკკლესიის მსახურებს მოსვლიათ ერთმანერთ შორის ჩხუბი და ერთმანერთისთვის ცხვირპირი ჩაუმტვრევიათ. ერთს მათგანს ეკკლესიაში სისხლი დაუნთხევია და პოლიციის მიუშველებლათ საქმე ცუდათ თავდებოდა თურმე.

რა საშინელი შეურაცხყოფა არის წმიდა ადგილისა და ისიც ეკკლესიის მსახურთაგან?!..

* * *

ჩვენ გვაცნობებენ ქვათახევიდამ კიდევ სხვა უბედურებას. მთიდამ ჩამოვარდნილ დათვს დაუგლეჯია ჩოჩელიშვილი ცოტათი, წინარეხელი ძისნანი და კავთისხელი კანდელაკი. ამბობენ ორი სიკვდილის პირზე არიან და ერთი კი გადურჩება სიკვდილსაო.

მოხუცი ბაიოზი, რომლის დამარცხებას ვწერდით ჩვენ გაზეთში, როგორც ვატყობინებენ, უპატრონობით, გარდაცვლილა.

* * *

ზუგდიდის მაზრის სოფ. ზანიდამ გვწერენ:

„ერთი აქაური გლეხი ბოჯგუა ქართლში იყო სამუშაოდ და როდესაც დაბრუნდა თან ჩამოიტანა ციება, რომლის წყალობით მალე მიიცვალა და თან თავის დედ-მამაც გაიყოლია. საბრალოს დარჩა ახალგაზდა ცოლი, რომელსაც ცოტახნის შემდეგ აგრეთვე მოსდო ბრჭყალები ზემოხსენებულმა ავადმყოფობამ. ეს დედაკაცი უმოწყალოდ მიაგდეს თურმე ერთს მარანში, სადაც სასმელ-საჭმელს მართალია აწოდებდნენ, მაგრამ სხვა ყურადღებას და მოვლას კი სრულიად მოკლებულია. ჭირის გასადიდებლად, ეს საწყალი ქალი თურმე ორსულად იყო და ისე მორჩა, რომ ბებია, თუ მისი მაგიერი, მხოლოდ უკანასკნელს წამს მიეშველა. ადგილობრივი მღვდელი დღესაც არ მიეკარებია ახალი დაბადებული ბავშის მოსანათლავად“...

* * *

ამ უკანასკნელს ხანებში თბილისის ამქრები უსტაბაშების ამორჩევას შეუდგნენ. დურგლებს უკვე ამო-

---

## «დროების» ფელეტონი, 25 ივლისს.

### რკინის გზის ვაგონში

ვიჯექ პირველი კლასის კუპეში და ვფიქრობდი ჩემს ნაცნობ ნათესავებზე, რომლებიც მალე უნდა მენახა. მე ისეთ ნაირათ ვიყავ ფიქრში წასული, რომ ვერ გავიგე ვერც რკინის გზის წივილი და ვერც პოეზდის გაჩერება. უეცრივ ჩემი კუპეს კარი გაიღო და ერთმა მაღალმა კაცმა ადგილი დაიჭირა ჩემს გვერდით. კონდუქტორმა კარები გაიხურა და პოეზდი ხელ ახლა გზას გაუდგა.

ჯერ ვითომ ყური არ ვათხოვე ახლად შემოსულს კაცს. და ან რა უნდა მეპოვნა საყურადღებო იმ კაცში, რომელსაც შემახვედრა ბედმა სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, რომ უცნობმა, პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ, დამეკითხა, თუმცა კი ტკბილად, მაგრამ გარდაწყვეტილი კილოთი.

— როგორ ჰფიქრობთ თქვენ, მე ჰკვიდამ შეშლილი ვარ, თუ არა?

თავი ავიღე მაღლა და თვალებში შევაჩერდი იმ კაცს. ის ნამდვილ არისტოკრატს ჰგავდა. შეხედულობით იყო წამოსადეგი, სურათი სახე დიახ კეთილ-შობილურს ჰგავდა. გახვეული იყო ესპანიურს წამოსასხმელში, რომლის ქვეშ ერთი ხელი ჰქონდა დატანილი და მეორეთი დაბჯენილ-იყო ხავერდით გადაკრულს საჯდომის გვერდზე გაკეთებულს სურაიაზე. ლაპარაკის კილოზე, მე ვერ შევატყე, რომ ის ხუმრობდა.

— ჭეშმარიტად, მოწყალეო ხელმწიფევ, მიუგე მე,—თქვენ სრულებით არ გევხართ შეშლილს.

მან გაიღიმა დაუდევნელად და წარმოსთქვა:

— თქვენ სცდებით. მე ნამდვილი შეშლილი ვარ.

მე დავრწმუნდი, რომ ამას უნდა სწორედ გამასულელოს მეთქი. და რადგან მე იმისთვის არა მცალოდა, არც დავეძებდი ვინ იყო და ვინ არა, მივბრუნდი და დავიწყე ფანჯარაში ცქერა ჩემთვის პოეზდი საათში 75 ვერსს გარბოდა. რჩებოდა რაღაც ათი წამი ჩემი ნათესავების ნახვამდის. ყოველი ჩემი გრძნობა მათკენ მიისწრაფოდა. ამ კაცზე კი ვიფიქრე, თუ მაინცა და-მაინც ლაპარაკი უნდა, ჯანაბას მაგის თავი, იმდენი ილაპარაკოს, სინამ მოსწყინდებოდეს; მე პასუხსაც არ ვაღირსებ-მეთქი. შენ არ მომიკვდე, თურმე საქმე ასე ადვილად როდი იყო. იმას საშინლად ნდომებია რაღაც ლაპარაკი ჩემთან. პატარა ხანს გაჩუმდა, თითქო უნდა მოიფიქროს სუყველაფერიო და დაიწყო ხელახლად.

— თქვენ ისე ურწმუნოთ მიცქერით, რომ სწორეთ მომწონხართ. მე თქვენ, მოგახსენებთ, ბატონო, რომ, ჯერ საათიც არ იქნება, რომ გამოვიქეცი გიჟების სახლიდამ. ნება მომეცით გიამბოთ ეს ამბავი დაწვრილებით.

მე მივაბჯინე შუბლი ფანჯარას და ვითომ ვცდილობ ყური არ დავუგდო.

— ბანა მუდამ შეშლილი არ ვყოფილვარ... ნწ, არა, მუდამ არა! წარმოსთქვა იმან ჩუმათ, თითქო თავის თავს ალსარებას ეუბნებაო.—ვერა ნაირად ვერ მომიგონებია ნამდვილად, რამ შემშალა მე ჭკუაზე; მაინც მე ვფიქრობ, რომ უმთავრესი მიზეზი იყო: ლორდი პალმერსტონი და

ურჩევიათ უსტაბაში და მეწალეებს დღეს, 24-ს მკათათვეს, აქეთ არჩევანი. ვეატყობინებენ, რომ არჩევანის დროს წესი არ არის რიგიანათ დაცული.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

**ქობულეთი**, 15 ივლისს.—ჩვენი ამბავი არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი თქვენ გაზეთში. ბევრი რამ თქმულა ჩვენ შესახებ განსაკუთრებით ქამარ-ფაშის მართველობის დროს—გონჯიც და კარგიც; თქმულა აგრეთვე ისიც, თუ რა არის მიზეზი ჩვენი სათათრეთში გადასახლებისა, როგორი ნაჩალნიკი გვესაჭიროება ჩვენ და ან რა ზომები უნდა მიიღოს მართებლობამ ჩვენ შორის ავაზაკობის მოსასპობლათ და სხ. გარეშე ამისა თვით ქამარ-ფაშისთვისაც არა ერთხელ შეგვიწყენია თავი წერილით და სიტყვიერი თხოვნით სხვა-და-სხვა ჩვენი გაჭირვებების გამოისობით, მაგრამ საუბედუროთ ყველა ამაებს სულ ფუჭეთ ჩაუვლიათ ჩვენთვის. ჩვენი მდგომარეობა თუ გაუარესებულა, თორემ უკეთესობა არაფერშიდ არ შეგვიმჩნევია. ვიმეორებ, ჩვენი ჩივილი ყოველთვის უყურადღებოთ რჩებოდა; რაც უნდა მართალი ვყოფილიყავით, მაინც მტყუანი გამოვდიოდით ყოველ საქმეში. მოიკლა კაცი ქობულეთში ვინმე გურიიდამ ან ბათუმის ობლასტის სხვა კუთხიდან გადმოსული, ფირალიდგან დანაშაული ჩვენ დავრჩით. ვაატარა ვინმემ ქობულეთში ნაქურდალი საქონელი—ბრალი მაინც ჩვენ დაგვედო ქურდობისა. ბეჯითათ გამოკვლევას ავაზაკობისას არავინ შეუდგებოდა, მისთვის რომ ეადვილებოდა ჩვენს ნაჩალნიკს ბათუმში მიწერა, ქობულეთლებმა მოკლა კაციო და სხვ. ამის შემდეგ შეიქნებოდა კაცის ჭირვა იმ ადგილის ახლო-მახლო, საცა კაცი მოიკლა, იმ მოსაზრებით, რომ ან თვითონ იქნებიან დამნაშავენი და ან ეცოდინებათ მაინცა მკვლელები. ხშირათ არც ის ვიყავით და არც ის და ბევრი ჩვენთაგანი მართალი კაცები ტყვილ უბრალოთ იტანჯებოდნენ. ნამდვილი დამნაშავენი კი თავის-უფლათ დასეირნობდენ. უნდა ვთქვა სიმართლე, რომ ჩვენშიაც იყვნენ გონჯი კაცები ჩვენი მოძმეები; მაგრამ თამამათ ვიტყვი იმათი გონჯობა უმეტეს ნაწილ შემთხვევაში იყო შედეგი ჩვენი ნაჩალნიკის უხეირო ქცევისა. ნათქვამია: „გაჭირვება მაჩვენე გაქცევას გაჩვენებ“.

დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი რომ ბრძანდებოდა ბათუმში, ბოლოდროს, ჩვენგან გაგზავნილ წინა კაცებს დიდად გაუჯავრდა მისმა უმაღლესობამ: თქვენ გონჯ კაცებს ინახავთო, კაცებს კლავთო, მოსპეთ ავაზაკობა, თორემ სასტიკათ მოგექცევითო. ისეც მოხთა იმავე ბაქ-ბეუკის წყალობით: დაგვასწრო ჩივილი დიდ მთავართან.

ახალი გუბერნატორის ბ-ნი სმეკალოვის მობრძანებას ბათუმში მოუთმენლათ ველოდით ყველანი სრულის იმედით, რომ ეს მაინც მიაქცევდა ჯეროვან ყურადღებას ჩვენ გაოხრებულ და სანახევროთ გაცარიელებულ მხარეს. ჩვენი მოლოდინი არ გაგვიმტყუნდა. სასიხარულოთ ჩვენდა, როგორც ვხედავთ, ბ-ნი სმეკალოვი არის მშრომელი, პატიოსანი და გამჭრიახი გონების მექონე კაცი. ბევრი გონივრული განკარგულება, რომელიც მან მოკლე დროში ჩვენში მოახდინა, ყველას დაარწმუნებს იმაში. მათ შორის პირველი ალაგი უჭირავს ავაზაკობის შემცირების შესახებ ზომების მიღებას.

8 ამ თვისას მობრძანდა ჩვენს მაზრაში ბატონი სმეკალოვი თვისის ამალით. ციხის ძირზედ მას მიეგება ჩვენი ნაჩალნიკი და მერმე ცალკე ჩვენი წინა კაცები, რიცხვით 40. ამათი თანამხლებლობით დახედა რა უკანასკნელი ჩხუბის თათრის სიმაგრეები მაღლობებზედ, ციხის-ძირის, ჩიათის და მახალ-შავის, მობრძანდა დაბა ჩურუქსუს. აქ მეორე დილას დაგვიბარა ყველანი და გამოგვკითხა დალაგებით ყოველივე ჩვენი ზარი ისე, როგორც მამა შვილებს. ჩვენ მოვახსენეთ ჩვენი შეწუხება ჩვენი ადგილობრივი ყაზახ-რუსებისაგან და აქ მდგარი, ამ ჟამად წასული, ჩერნომორიის პოლკის როტის სალდათებიდგან ქურდობით და სხვა ავ-კაცობით და ვთხოვეთ მას მფარველობა და შემწეობა. ამაზედ ბ-მა სმეკალოვმა აღგვითქვა ფიცხელი განკარგულების მოხთენა. ამის შემდეგ გასინჯა საქმეები უჩასტკის უპრავლენიაში; ნახა აქაური ზაფთიები და ყაზახის რუსები ცალ-ცალკე.

10 ამ თვისას, დილით სმეკალოვი წაბძანდა სოფლების მცხოვრების სანახავათ და დახედა სოფლები: ბობოყუათი, დაგვა, ქვირიკე, სამება და ქობულეთი. ქვირიკეში გაუმასპინძლდა მას სადილით ხურშუტ-ალა ჩელიბ-ოღლი; ვახშმათ მიიპატიჟა სოფ. ქობულეთში ურშუმ-ალა ჭყონიამ. მეორე დღეს დახედა სოფლები: ალამბარი, მუხა-ესტატე, ხუც-უბანი, ლეღვა, სადაც მთელი სოფლის მცხოვრებლებმა გაუმართა სადილი სმეკალოვს მინდვრათ. აქიდან წაბრძანდა სოფ. აჭყვის თავშიდ. აქ ღამე გაათია რედუებ-ალა-ჯენეთ-ოღლისას, რომელმაც მშვენიერი ვახშამი მიართვა სმეკალოვს და მის მხლებლებს. ნავახშევს მასპინძელმა დიდათ ასიამოვნა სმეკალოვს ქობულეთელი თამაშით და სიმღერით. აჭყვის თავიდან გაემგზავრა ხინოს საზოგადოების სოფლების სანახავათ. დახედა: ჭახათი, ტყემაკარავი, ცხემვანი. ცხემვანში სადილი გაუმართა მას ზენჯი-ალა-ზოგიტიძემ. აქიდან დაიარა სოფლები: ზერა-ბოსელი, დიდი-ვაკე და ზემო-ხინო. ზემო-ხინოდან დაბრუნებული ზერა-ბოსელში ტერათის მთით გადავიდა ბათომის უჩასტკაში, მეხუთე დღეს ბათომიდან წამოსვლის შემდეგ.

ს. ჩაქვში ჩამოვიდნენ ს. ხალის მცხოვრებლები და სთხოვეს სმეკალოვს მისცეს მათ ნება იარაღის ტარების, რადგანაც იძულებული არიან თვითონ თავისი ხელით დაიფარონ თავი ავაზაკებისგან.

ყოველ სოფელში ბატ. სმეკალოვი მცხოვრებლებს კითხავდა დაწვრილებით მათ ვითარებას: როგორ ცხოვრობენ? როგორ მოსავალს მოელიან წელს? შევიწროებული ხომ არ არიან ვისმესგანმე? და სხ. ერთი სიტყვით ჩვენ ამბავს დაწვრილებით და ყურადღებით ისმენდა. ვინც ჩვენთაგან რამე პატივს მისცემდა მას ერთი ორათ გადაუხდიდა ფულით. მოხუცებულ კაცებს დიდის სიამოვნებით ებაასებოდა ძველებურ ამბებზედ და პატივს აძლევდა ფულის ჩუქებით და ალერსიანი სიტყვებით. ს. ქობულეთში მან ნახა ერთი 130 წლის მოხუცი კაცი სულეიმან ხაბაზი, რომელსაც განსაკუთრებით თავაზიანათ მოეპყრა; დიდ ხანს ილაპარაკა მასთან ძველ ჩხუბებზედ და დააჯილდოვა ფულით. ჩვენი თხოვნები სმეკალოვისადმი უმთავრესად მდგომარეობდა შემდეგში: ა) სისრულეში მოყვანა იმ ვრცელი თხოვნისა, რომელიც ჩვენ მივეცით მას თავად მელიქოვის აქ ყოფნის დროს. (ამ თხოვნაში იყო დაწვრილებით აწერილი ჩვენი თავს-გადასავალი დღიდან რუსის ჩვენ ქვეყანაში შემოსვლისა ვიდრე აქამომდე; ვიდრე ვჩიოდით ბაქ-ბეუკის უკანონო მოქმედებაზედ—ჩვენი ხოჯას გალახვაზე, ავაზაკების ყურის უგდებლობაზე—ერთი სიტყვით მას ვთვლიდით მიზეზათ ჩვენი ქვეყნის გაცარიელებისას და ვითხოვდით მის გამოცვლას და მის მაგიერ დანიშვნას ჩვენი ხასიათის და ენის მცოდნე კაცისას. ბოლოს ვაცხადებდით იმედს, რომ ჩვენი თხოვნა მალე შეგვისრულდება; წინაამდეგ შემთხვევაში ყველა ერთბაშათ გადასახლებას ვპირდებოდით სათათრეთში) ბ) თაინის (ნასესხი სიმინდი, საზრდო) და თახშირის (წლიური გადასახადი კომლზედ) მოგროვება (უჩასტკის ნაჩალნიკები ეხლა ახდევინებენ) გადაიდოს შემოდგომისთვის და გ) დაძველებული ჯამიების შესაკეთებელი და მოლების დასაქირავებელი საშუალებების მიცემა. ეს უკანასკნელი თხოვნა

---

ჯვრის ტუზი. დიახ, ეჭვი არ არის, ჯვრის ტუზი უფრო იყო, რაც იყო, თუმც ეხლა ესეები აღარ მაგონდება და არც მალონებს. მქონდა მშვენიერი სახლი ლამაზი ბაღით, დიდ-ძალი ადგილ-მამული, ეკიპაჟები, ცხენებიც მყავნდა, მოსამსახურე ბიჭები, ცოლი, მაგრამ რა ცოლი... ნამდვილი სურათი და ნამდვილი სიკეთე. რა ნაირ მიყვარდა; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სულ იმის მოკვლას ვცდილობდი. ჰა, ბატონო, არ ვარგა ამ ნაირი სიყვარული?!

ცოტა არ იყოს გარეთ ჩამოღამდა კიდეც; სიბნელე მუხანათურად იპარებოდა ვაგონში. უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში, უკანასკნელი სიტყვები რომ სთქვა უცნობმა.

— გევედრებით, უთხარ მე ჩუმათ,—ილაპარაკეთ სხვა რამეზე თუ მაინცა და მაინცა, გნებავთ ყური დაგიგდოთ, რამე სასიამოვნოზე მაინც იმუსაიფეთ.

— ხა! ხა! ხა! გაიხარხალა ჩემმა ძალად მაცხონემ,—განა შეიძლება იყვეს რაიმე სანამ უფრო სასიამოვნო, ვიდრე ჩემი ალსარება და განდობა. ოღონდ მომისმინეთ ყურად-ღებით. გავიდა დიდი ხანი, კიდეე შეიტყობდენ, რომ მე ვიყავი შეშლილი. ისე ხერხიანათ ვთვალთ-მაქცოვდი და ვმალავდი... მე თავად კარგა ვგრძნობდი რა ამბავიც იყო ჩემს თავს, რადგანაც ყველგან, საითაც კი მივ-ხედავდი, სულ მკვდარნი ნაცნობები მელანდებოდნენ.

ვცდილობდი—კი, ძალიან, დამეჯერებინა ჩემი თავი, რომ ეს ტყუილი მოჩვენებაა, მაგრამ ველარა გავხდი რა, არაფერმა არ მიშველა. ამასაც გეტყვით, თუ გინდათ, რომ სიყმაწვილიდგანვე ველოდი მე ამ ნაირ ბოლოს, რადგან სასწავლებელში ყოფნის დროსვე ათასი სისულელე მომდიოდა თავში და ბოლოს, ველარავის მოტყუება ველარ შევძელ, ყველა ჩემმა ნაცნობმა შეიტყო, რომ მე ჭკუიდამ შევიშალე.

ერთს მშვენიერს დღეს მოვიდენ ჩემთან ორი კაცი... ძალ-დაძალ შემკრეს, ჩამსვეს კარეტაში და გამაქანეს საგიჟეთში. ის სახლი, ბატონო, საშინელება იყო!.. ჩამკეტეს პაწია ოთახში; არც მოწყობილობავ, არც ბუხარო, არც ერთო, არც მეორე. ზამთარი კი ისეთი იყო, ქვასაც გატეხდა. ფანჯარა ჰქონდა მარტო ერთი კუთხეში, სურაიას იქიდამ. სალამოობით სინათლე შემოდიოდა გარედამ, რკინის კარიდამ, თითქო ცხავიდან მოძვრებიან რაღარ ცოცხლებიო; ყოველ ღამე—არ დაიჯერებთ?—საშინელი, საზიზღარი მოჩვენებანი მელანდებოდნენ ოთახში, განსაკუთრებით, როცა მთვარიანი ღამე იყო ხოლმე. ერთხელ წამოვვარდი საწოლიდგან, რომ დამეხოცნა სულ ერთიანათ ეს ჩემი მტარვალნი; მაგრამ დარაჯები მომცვივდნენ და მიმაბეს საწოლს... მე გავიგონე იმათი სჯა იმის თაობაზე, რომ ვითომ მე ჩემი თავის მოკვლა მინდოდა. ჩერჩეტნი... ისინი ვერ ხედვიდნენ, ვის ვებრძოდი!

სამი წელი არ მომასვენეს, ჩემო ბატონო, მტანჯეს ამ საშინელი მოჩვენებით.

ბოლოს ერთს მშვენიერს დილას, დიდი ხნის ძილის შემდეგ, მოჩვენებანი გაიფანტნენ... სიხარულისაგან ავსტირდი, როგორც ბავშვი, ღმერთს მადლობას ვსწირავდი და ვმედიდურობდი იმით, რომ ეშმაკსა და მის მონათ დავსძლიე.

ბევრ სოფლებში ადგილობრივ დაკმაყოფილა ფულის ჩუქებით ჯამიების შესაკეთებლათ და ხიდების და მოლების დასაქირავებელი წყაროების გამოძებნით. რაც შეეხება თაინის და თახშირის საქმეს და იმ დიდი თხოვნის ასრულებას ამაებზედ შეგვპირდა განკარგულების მოხდენას.

ბატონი სმეკალოვის მოგზაურობა ჩვენ მაზრაშიდ იქნება სამუდამო სახსოვარი ჩვენთვის, მით უფრო, რომ მან ინახულა ისეთი მიყრუებული ალაგები და ხალხი, სადაც არა თუ ჩვენი ეხლანდელი ნაჩალნიკი, რომელმანც ამ შემთხვევამდინ ჩურუქსუს იქ თუ ვინმე სცხოვრებდა არც კი იცოდა, არამედ თათრის დროსაც ძვირათ ვინმე უფროსებთაგანი მივიდოდნენ. ხინოშიდ სმეკალოვმა უგზობის გამო დიდ ძალი გზა აიარა ფეხით.

დასასრულ ყოვლისა ვიქონიებთ იმედს რომ ბატ. სმეკალოვი შეგვისრულებს ზემო აღნიშნულ ჩვენ თხოვნებს და მოგვაცილებს აქედამ ბაქ-ბეუკ მელიქოვს.

ქობულეთელი.

# რუსეთი

პეტერბურღში დაიბეჭდა ერთი ახალი წიგნი: შავი ზღვა. მნიშვნელობა მისი სხვა-და-სხვა ისტორიულს დროს. ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა შავი ზღვისა ჩვენ დროში. მ. ლიტკინოვისა. წიგნი დაწერილია გენერალური შტაბის წინადადებით ადიუნკტ-პროფესორობის ხარისხის მისაღებად. სხვათა შორის ავტორი ამტკიცებს შემდეგს: შავი ზღვა რუსეთისთვის გზა არის არამც თუ მარტო ევროპისაკენ, არამედ აზიისაკენაც. ბარემო ბუნების სიმდიდრე აძლევს შავს ზღვას უფრო მეტს მნიშვნელობას და უკანასკნელი ომის შემდეგ ყველასთვის ცხადია ამ ზღვას დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის და შავი ზღვა რუსეთის ზღვა უნდა იყვესო.

— პეტერბურღიდამ აცნობებენ მოსკოვის გაზეთებს, რომ პროექტია შემდგარი, სამხედრო მსახურთ მიეცეს, ნება, სამსახურის გარე სტატსკური ტანისამოსი იხმარონ.

— ქ. სმოლენსკიდამ სწერენ ერთ რუსულს გაზეთს, რომ ურიული გაზეთის „ზამელიცის“ გამომცემელს ბ. ა. ცედერბაუმს ნება-რთვა მიეცა ებრაულ ენაზე ახალი გაზეთის გამოცემისა.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** სტამბოლიდამ იწერებიან 18 ივლისს, რომ ყველა ჟურნალებში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა: მას შემდეგ, რაც მაჰმედ-ფაშამ და ნური-ფაშამ გამოაცხადეს თავიანთი მონაწილეობა აბდულ-აზიის მოკვლაში და სთხოვეს სულთანს პატივება, საგანგებო სასამართლომ განიხილა ამათი თხოვნა და სულთანის ბრძანება ამის შესახებ და ერთხმად გარდასწყვიტა შესცვალონ ბრალდებულთ სასჯელი; თანხმად სულთანის აბდულ-ჰამიდის ბრძანებისა (ირადე) გუშინ დანაშაულნი გაგზავნეს თაიფში, მეკკის სიახლოვეს (არაბეთში).

— გაზეთი **რუსკი კურიერის** საკუთარის კორრესპონდენტის ცნობით, მითხად-ფაშა გაიგზავნება როდოსის კუნძულზედ.

**ინგლისი.** დუბლინში შესამჩნევი დემონსტრაცია მოახდინა სამიწა-წყლო საზოგადოებამ (ლიგა). ქუჩაში შეიკრიფა 10,000 კაცზე მეტი, მომეტებულად ხელოსნები და ჰქონდათ ერთი ჩოჩქოლი. ამის შემდეგ მოხდა კრება, რომელზედაც დაესწრენ და ილაპარაკეს პარლამენტის ორმა წევრთაგანმა, ბილიძ და სექსტონმა. მათ განარკვიეს სამიწა-წყლო კანონი და უმტკიცებდნენ მიწის მომქმედებს და მუშებს, რომ მათ ყველას უნდა ჰქონდენ მიწა-წყალი საკუთრებად.

**საფრანგეთი.** აფრიკაში გაუგზავნიათ იქაური ჯარის დასახმარებლად 2,791 კაცი.

— ორანიდამ იწერებიან, რომ ფრანცუზებს დაუჭერიათ ჯერბის კუნძული.

— შესახებ თუნისის საქმეების მდგომარეობისა, დეპუტატთა პალატაში უცხო საქმეთა მინისტრს ბ. სენტ-ილერს მოუხსენებია შემდეგი: აღმასრულებელი უფლება, რომელიც სრულიად სხვა დაწესებულებას ეკუთვნის, არაფერ შუაში, ომის და ლაშქრობის დაწყებაში და ზავის ჩამოგდებაში. ამის უფლება პარლამენტს ეკუთვნის. ჩვენ კი არ გვიბრძოლნია თუნისის ბეის წინააღმდეგ, მათი თანხმობით აჯანყებულები დავამშვიდეთ. სფაქსის დაცემა საჭირო იყო, რომ თუნისი სრულიად დამშვიდებულიყო. ჩვენ უნდა თუნისი მოგვემხრო ჩვენსკენ. პირ-შეკრულობა, ხელმოწერილი თუნისის ბეისაგან, სასურველი იყო იმისთვისვე ამ ხუთის წლით ადრეცა და არაფერს ახალს არ წარმოადგენს. თუნისის ექსპედიცია საჭიროდ იყო ცნობილი და გარდაწყვეტილი ჯერ ისევ ბერლინის კონგრესშივე. მაინც ვიმეორებ, ჩვენ სრულიად არ გვწადდა ახალი მიწების დაჭერა და შემოერთება. თუ თუნისში დავიჭირეთ ზოგიერთი ადგილები, ეს საჭირო იყო წესიერების დასაცველად.

**ამერიკა.** ამერიკელი ექიმები დიდ მნიშვნელობას აძლევენ იმას, რაც ავათმყოფის გარშემო არის. ამის დასამტკიცებლად მოგვყავს საინტერესო ცნობები ნიუიორკის გაზეთებიდამ, საიდამაც მკითხველებს შეუძლიათ გაიგონ, თუ როგორი მოვლა აქვს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გარფილდს და რა ამბავი ხდება მის საავათმყოფო სავარძელთან.

ყველანი ცდილობენ, რომ პრეზიდენტი მუდამ ხალისიანათ იყოს, ამისათვის იმის ოთახიდამ, სადაც ის წევს, გაალაგეს ყველაფერი, რაც კი მუქი ფერის იყო. გარფილდის ცოლი, რომელიც მოუშორებლივ [illegible]თან არის, ღია-ფერ [illegible] ჩაცმული; ამ უკანასკნელ დროს სრულებით თეთრების ხმარებაც დაიწყო. მისონის ქალი, რომელიც უვლის ავათმყოფს დოქტორის ხარისხის მიცემულ დიპლომის ძალით, ისეც ამ მოთხოვნილებას მისდევს. პრეზიდენტი ამ ქამად **„თეთრი სასახლის“** დიდ ზალაში გადაიყვანეს. საშინელი სიცხეების გამო, რომელიც ამ ქამად ვაშინგტონშია, მეორე სახლში, მეზობლათ, გააკეთეს სარდაფი, აავსეს ის ყინულით და იქიდამ მილებით შემოჰყავთ წმინდა, გრილი ჰავა პრეზიდენტის სადგომის სარდაფებში, საიდამაც სხვა გვარი მოწყობილებით გაყვანილია იმ ოთახში, სადაც ავათ-მყოფი პრეზიდენტი წევს. ექიმები და პრეზიდენტის შვილები მიდიან ავათ-მყოფის საწოლთან მუდამ ყვავილებით შემკობილი. ერთი სიტყვით, გარშემო მოწყობილობას და მხიარულობას, თუ რაიმე გავლენა კი შეიძლება იქონიოს კაცზედ, ამ შემთხვევაშიდაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია გარფილდისათვის, რამდენათაც კი შეიძლებოდა ექონა ავათმყოფის გრძნობიერებაზედ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს.** გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა; გორალევიჩი და ლისიცოვი — შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანცი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყობისა; შტემბორსკი ვენერიულ და ტყავის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფ.; რეიხი — თვალების ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი — ვენერიულ ავათმყოფობისა,

**ოთხშაბათს.** კრასნოგორიადოვი და ლისიცოვი შინაგან ავათმყოფობისა;

---

ამის შემდეგ უფრო სიამოვნებით ვატარებდი დროს, რადგან ღამით თოკებით აღარ დამაბამდნენ ხოლმე. მომივიდა თავში ჰაზრი, რომ სულ განთავისუფლებულვიყავ და გადავსწყვიტე ამ საშინელი სახლიდამ გაპარვა. ეხლა მკითხეთ, როგორ? ამ წამ მოგახსენებთ ყველაფერს. მოვინდომე ჩემი დარაჯების მოტყუილება და მოვიგონე ვითომ შეშლილობისაგან მოვრჩი. ექიმი ყოველდღე მოდიოდა... მე იმის ფეხის ხმა მესმოდა შორიდამ და ვიცოდი დრო, როდესაც ის ჩემთან შემოვიდოდა... უნდა მოვატყუილო ექიმი, ვეუბნებოდი ჩემ თავს. ძალიან ძნელი საქმე იყო ეგ ჩემთვის, მაგრამ მაინც მოვახერხე. ჩემი ვაება და უბედურება ეგ იყო ყველაზე უფრო, რომ მე არ შემეძლო გონიერათ სჯა: როგორც კი გამოვებაასებოდი, მაშინვე რაღაც სისულელეს წავმოროტოტლამდი არც ღვთის იყო და არც კაცისა.. დალახვროს ეშმაკმა.

წარმოიდგინეთ თქვენ, რამდენი ცდა დამჭირდებოდა რომ ეს ხერხი ბოლომდი მიმეყვანა. თვალები საქმეს მიჭირვებდნენ, ძნელი იყო, რომ სიგიჟე არ შეეტყო, ვინც ჩემს თვალებს შემოაცქერდებოდა. დავუწყებდი ყოველთვის იმით, რომ მე თანდათან კარგათ ვგრძნობ ჩემ თავს და დარწმუნებული ვარ, ვეუბნებოდი ექიმს, რომ მალე აქედან დამითხოვთ-მეთქი..

ერთხელ მშვენიერი აზრი მომივიდა — მეკითხა ექიმისათვის ჩემ ცოლზე. მაშინვე კაცი გააგზავნეს და ის მოვიდა ჩემ სანახავათ. ისეთი გადაფითრებული იყო, რომ რაღა მოგახსენოთ, მაგრამ ისევ მშვენიერი და ჩუმი. მივუჯექ გვერდით და ვუთხარი ის რასაც ექიმისათვის ვამზადებდი სათქმელად.. ავიღე მისი ხელი, მივიდე ტუჩებზე, თუმც სულ იმის მოკვლას ვფიქრობდი. ხომ კარგათ ვიკატუნებდი თავსა?!

წასვლა რომ დააპირა, ლოყაზე ვაკოცე და ვუთხარი, რომ ის მე მალე მნახავს, შინ და აქ კინაღამ წამცდა, კინაღამ ვუთხარი, რომ შინ შენ მოსაკვლელად მოვალ-მეთქი.

საგიჟეთში კიდევ ექვს თვეს დავრჩი; ექიმს სულაც არ უნდოდა ჩემი იქიდამ გამოშვება... მაშვინ მოვიგონე ავათმყოფობა. ძალიან ცოტა ჭამა დავიწყე, რომ ძალა მომაკლდეს მეთქი... თქვენ გესმით ეს? რა ტანჯვა გამოვიარე; მხოლოდ გიჟები ჩაიდენენ ამისთანა საქმეს!

ბოლოს ექიმი დარწმუნდა, რომ ჩემთვის საჭიროა მოძრაობა და ჰაერი და ბრძანა გადავეყვანეთ იქვე პატარა ლაზათიან სადგომში, რომლის ფანჯრები ბაღში გამოდიოდნენ. აქვე, ბაღის უკან, რკინის გზა არის, რომელზედაც მუდამ და ხშირი მიმოსვლა გაჩაღებულია. მე მაშინვე ვიფიქრე, რომ ამ გზით უნდა გავპარულვიყავი. ჩემთვის იყო საჭირო მოხერხებით შემთხვევა რამ და ფულები.

პატარ-პატარათ მოვჯობინდი და იქამდის დამშვიდებული, თავ-შეკავებულად ვიყავი, რომ ნება მომცეს ბაღში სეირნობისა. ექიმმა მითხრა, რომ მალე გაგიშვებ აქედამო, მაგრამ მე თვითონ დავაჩქარე ჩემი იქიდამ გამოსვლა.

(გაგრძელება)

ქიუზარიანცი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუჯვის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს** გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; როტინიანცი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა ლისიცოვი და შეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუზარიანცი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

**პარასკევს**. მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობის; ბახუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათაყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიცოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი — ვენერიულ და ტუჯვის ავათმყოფობისა.

**შაბათს**. ლისიცოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუზარიანცი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრეხტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ზარათებით.

# განცხადებანი

**სოფ. ანოპკში**, თბილისის უეზდში იყიდება გაკეთებულ ღვინის დიდი და პატარა ქვევრები-ვიდრე ორას ვედრიანამდინა; აგრეთვე მიიღება ზაკაზი რა ზომისაც საჭირო იქნება. ადრესი: ჰავლაბარში, 13 უჩასტკაში, საკუთარს სახლში № 14. **ალექსი ქრისტეფორისძე ჩიქოვანი.**

(3—2)

კანტორა

რუხაძის და კაკაბაძისა

ვაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან გაღებულ ჩვენ მიერ **ქ. ფოთს კამმისიონი კანტორაშიდ** ლუკა რუხაძის მაღაზიაშიდვე ვღებულობთ შრომას მსურველის მოთხოვნილებით ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვისა და გაყიდვისას ნაკლები კამმისიით.

კამმისიის საქმეებს აწარმოებს **მოსე დავითისძე კაკაბაძე**, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

(3—2) ლ. რუხაძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

Съ 1-го іюля по 1-ое января 1882 года

на ежедневную газету

„**ТИФЛИССКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ**“

(четвертый годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Въ Тифлисѣ, съ доставкою на домъ 2 руб.
Иногороднымъ съ пересылкою. . . . 4 руб.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи, на Дворцовой ул., въ домѣ Сараджева, съ 7-ми утра до 8-ми часовъ вечера.

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ.** და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.

(100—14)




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირთა ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის **ფარმაკიის** მაგისტრის ვ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე **№ 35**. დიდი კაროპკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კაროპკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—15) ვ. კარპინსკი.

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბომაზეი 1 მ.—1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—15)

ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—3)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ჭიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შროტკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—99)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—19)

ინგლისის მაღაზიაში



თმის სამ-ღებავი მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—6)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა აროմატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და უფრო საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—82)

ინგლისის მაღაზიაში

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—19)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავახას გიარები. (100—99)

# ი. მ. კურცოვი.

მაქვს პატივი რათა ვაუწყო პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ მე მაქვს ქ. ოდესაში კამმისიონნი კანტორა და ვიღებ ყოველ გვარ ზაკაზებსა.

აგრეთვე მაქვს საეკლესიო წმიდა სანთლისა ვაჭრობა, ქ.ქ. ოდესაში, ტფილისში, ქუთაისში და გორში.

ადრესი: დეპეშებისათვის, Одесса, Курцову.

წერილებისათვის, Одесса И. М. Курцову. (3—3)

გამასესხებელის კასსიდან

გრიგოლ ბარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცხადდების, რომელ ორშაფათს 10-ს აგვისტოს ამა წლისს დილის 10 საათიდან, განისყიდება ამა კასსის წინ, ქალაქის აუკციონისტების ხელით ის გირაოები, რომელნიც არ დაუხსნიათ კასსიდგან ვადის ორის თვის ალგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა ბრილიანტისა და სხვა ნივთები.

(7—4)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 24 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი